ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, პაატა მანჯგალაძის 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოვხვდი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით. ვარ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"ს წევრი.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 3 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 37 განკარგულება და დამტკიცდა 25 დადგენილება.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის სხდომებში. სულ დავესწარი "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის" კომისიის 7 სხდომას. და „საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა'' კომისიის 5 სხდომას.

აღნიშნულ სხდომებზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად კომისიამ გამოიტანა რამდენიმე დასკვნა, მათ შორის სოციალური დახმარების გაცემის წესის მიღება, დეპუტატებისათვის უფლებამოსილების თანხის ანაზღაურების გაცემის წესის შესახებ, ასევე 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატების თაობაზე და სხვა საკითხები.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ჩავატარე 5 შეხვედრა ამომრჩეველთან და 15 მოქალაქეთა მიღება.

მოქალაქეთა შეხვედრასა და მიღებაზე წამოჭრილი პრობლემები ძირითადად ეხებოდა – შეჩერებულ სოციალურ დახმარებას, ავარიული სახლებისათვის სახურავების შეცვლას, მედიკამენტური მკურნალობისათვის ერთჯერად დახმარების გაცემას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, შიდა გზების მოწესრიგებას და გარე განათების მოწყობას.

საანგარიშო პერიოდში ასევე დავესწარი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' 15 სხდომას, სადაც განვიხილეთ საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხები და ასევე მოქალაქეთა მიღებაზე და ამომრჩევლებთან შეხვედრაზე დასმული პრობლემების გადაჭრის საკითხები.